გᲐნᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ინფორმაციული ტექნოლოგიები

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 21.05.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი - 28.05.2019

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს - **საქართველოს უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **205037137** |
| დაწესებულების სახე | **უნივერსიტეტი** |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | **ინფორმაციული ტექნოლოგიები** |
| განათლების საფეხური | **საბაკალავრო** |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | **ინფორმატიკის ბაკალავრი (0401)** |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | **აკრედიტირებული** (აკრედიტაციის გავლის თარიღი **01.07.2014)** |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანი არაბული (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რომეო გალდავა (სოხუმის უნივერსიტეტი) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირმა მახარაძე (ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა - "ინფორმაციული ტექნოლოგიები" წარმოადგენს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ხორციელდება 2014 წლიდან. პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულად.

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს.

"ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირადაა განაწილებული: სავალდებულო კომპონენტი - 144 კრედიტი, არჩევითი კომპონენტი - 36 კრედიტი, დანარჩენი კრედიტი სტუდენტს შეუძლია დააგროვოს: ინფორმატიკის პროგრამის არჩევითი და/ან თავისუფალი საგნებით 60 კრედიტი; დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტი.

საბაკალავრო პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციაა ინფორმატიკის ბაკალავრი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს საქართველოს უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 21 მაისს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 15.05.2019 წლის N363 ბრძანება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და საქართველოს უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ). ვიზიტი მოიცავდა ინტერვიუებს დეკანთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს უსდ შენობა, სადაც ხორციელდება პროგრამა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები და ბიბლიოთეკა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების პირველი და მეორე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - ✓ გამსხვილდს პროგრამის სწავლის შედეგები, რათა გამარტივდეს შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზის პროცესი;
  - ✓ მკვეთრად განისაზღვროს პროგრამის შეფასების გაზომვადი მაჩვენებლების მნიშვნელობები (რომელი მაჩვენებლის რა მნიშვნელობის მიღწევისას არის შესაძლებელი ამ შედეგზე გასვლა)

- ✓ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია დეტალურად იქნას განმარტებული პროგრამაში ჩართული ყოველი პედაგოგისათვის.
- ✓ პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტები განისაზღვროს საგნის სპეციფიკიდან და სირთულიდან გამომდინარე.
- ✓ გადაიხედოს სილაბუსები და ჩანაცვლდეს „შემაჯამებელი კვირა" სალექციო კვირით;
- ✓ სასურველია სასწავლო კურსის „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები" წინ უსწრებდეს "დაპროგრამების საფუძვლების C++" სასწავლო კურსს, ან მიმდინარეობდეს პარალელურ რეჟიმში; ამავე დროს არსებულ ვარიანტში „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმების" წინაპირობად "დაპროგრამების საფუძვლების C++"-ის განსაზღვრა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად;
- ✓ სასწავლო კურსში „კომპიუტერული ქსელები I" გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა ან ჩასწორდეს სასწავლო კურსის მიზანი;
- ✓ სასწავლო კურსებში „კალკულუსი 1" და „კალკულუსი 2" გასწორდეს საკონტაქტო საათების რაოდენობა. აცდენაა რეალურად არსებულსა და დოკუმენტაციაში გამოგზავნილ სილაბუსებში მითითებულს შორის;
- ✓ ინგლისურის სასწავლო კურსებში რამდენიმე ლექცია დაეთმოს ტექნიკური (დარგობრივი) ტერმინოლოგიის შესწავლის საკითხებს.
- ✓ სასწავლო კურსები „შესავალი კომპიუტერული თამაშების პროგრამირებაში I" და „კომპიუტერული გრაფიკული სისტემები" ჩაემატოს თეორიული საკითხები.
- ✓ გაიზარდოს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში პროგრამაში ჩართული პერსონალის მონაწილეობა

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
  - სასურველია გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა სასწავლო კურსში - „წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია";
  - სასურველია დაემატოს სასწავლო კურსი - „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა";

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
  - სტარტაპ-შესაძლებლობები სტუდენტებისათვის;
  - აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა სასწავლო მასალების მომზადებისა და გამოცემის საკითხში.

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ - "ინფორმაციული ტექნოლოგიები" 2014 წლიდან განიცადა ცვლილებები. სასწავლო კურსებში დაემატა პრაქტიკული კომპონენტის კურსები, ასევე შეიქმნა ახალი მიმართულებები, როგორიცაა კომპოუტერული თამაშების პროგრამირება, კიბერ უსაფროება და მობილური აპლიკაცები. არ შეცვლილა პროგრამის მიზნები, შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>საბაკალავრო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ (სწავლების ენა ქართული), წარმოადგენს საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედ პროგრამას 2014 წლიდან. პროგრამის მიზანს წარმოადგენს: მოამზადოს კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტები თანამედროვე კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით. კურსდამთავრებულს მისცეს კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაბამისი თეორიების ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, განუვითაროს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარი და შეძლოს თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების, განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკისა დანერგვა. მისცეს უმაღლესი მათემატიკისა და ფიზიკის საფუძველების, თანამედროვე დაპროგრამების ენების, ოპერაციული სისტემების, კომპიუტერის არქიტექტურის, კომპიუტერული ქსელის, მონაცემთა ბაზის, ვებ–ტექნოლოგიების, გეოინფორმაციული სისტემის, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვა და კიბერ უსაფრთხოების საფუძვლების ცოდნა. განუვითაროს თანამედროვე კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ–ჩვევები. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში მონაცემების კომპიუტერული დამუშავებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტებად, ვებ–დიზაინერებად, კომპიუტერული ქსელის სპეციალისტებად, კიბერუსაფრთხოების სპეციალისტებად. |

| |
|---|
| პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, წარმოდგენილ კურიკულუმში ასახული დარგობრივი საგნების მიზნების გათვალისწინებით მიღწევადია. პროგრამის კურსდამთავრებული შეძენილი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების საფუძველზე შეძლებენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საბაკალავრო პროგრამა;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი. |
| **რეკომენდაციები:**<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; |

- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგისთვის შესაბამის ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება საბაზისო ცოდნა და უნარი, რაც მას შესაძლებლობას მისცემს იყოს კონკურენტუნარიანი შრომით ბაზარზე და დასაქმდეს კვალიფიკაციის შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ:

პროგრამას გააჩნია 42 სწავლის შედეგი, რაც ართულებს პროგრამის შედეგების გაზომვას. ასევე გაზიარებულ დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. დაწესებულებამ მოგვაწოდა ადგილზე ცხრილის სახით დოკუმენტი სადაც გაწერილია თუ რომელი საგანი პროგრამის რომელ შედეგზე გადის, თუმცა ამ დოკუმენტში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული შეფასების გაზომვადი მაჩვენებლების ზღვრული მნიშვნელობები (რომელი მაჩვენებლის რა მნიშვნელობის მიღწევისას არის აუცილებელი კონკრეტული ქმედების განხორციელება).

არცერთი დარგობრივი საგნის მიხედვით არ ხდება პროგრამის ღირებულების განსაზღვრა და შეფასება. პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრისას აღინიშნა, რომ ყველა საგანი გადის პროგრამის ღირებულებაზე და ამიტომ არ მოხდა მათი ჩაწერა სილაბუსებში, თუმცა ადგილზე წარმოდგენილი ცხრილის (თუ რომელი საგანი პროგრამის რომელ შედეგზე გადის) მიხედვით ამ კომპეტენციაზე გადის მხოლოდ 7 საგანი.

მოწვეული პერსონალი (ვისთანაც მოხდა გასაუბრება) უმეტესად არ არის გაცნობილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს

დოკუმენტაციაში წარმოდგენილი „შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი“-ს დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ABET რეკომენდაციები - რაც არ შეესაბამება რეალობას და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ ეს არის სამომავლო პერსპექტივა.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საბაკალავრო პროგრამა;<br>○ საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუს შედეგები;<br>○ შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>✓ გამსხვილდეს პროგრამის სწავლის შედეგები, რათა გამარტივდეს შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზის პროცესი;<br>✓ მკვეთრად განისაზღვროს პროგრამის შეფასების გაზომვადი მაჩვენებლების მნიშვნელობები (რომელი მაჩვენებლის რა მნიშვნელობის მიღწევისას არის შესაძლებელი ამ შედეგზე გასვლა)<br>✓ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია დეტალურად იქნას განმარტებული პროგრამაში ჩართული ყოველი პედაგოგისათვის. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა, საჯარო და ხელმისაწვდომი. სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და დირექტორის ბრძანების საფუძველზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საბაკალავრო პროგრამა |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების მიხედვით, აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტუდენტების ჩართულობით. პროგრამა შედგება 240 კრედიტისგან, რომელიც დაყოფილია შემდეგი თანმიმდევრობით:

• პროგრამის ძირითად საგნები შეადგენს ჯამში - 144ECTS,

• პროგრამის არჩევითი საგნებიდან 36 ECTS

დანარჩენი კრედიტი სტუდენტს შეუძლია დააგროვოს:

• ინფორმატიკის პროგრამის არჩევითი და/ან თავისუფალი საგნებით 60 კრედიტების ECTS;

• დამატებითი სპეციალობის 60 ECTS

პროგრამის შინაარსი ძირითადად ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში შემავალი ყველა სასწავლო კურსი, მიუხედავად მისი სპეციფიკისა და სირთულისა, 6 კრედიტიანია. სასურველია კრედიტები განისაზღვროს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

საგნების უმეტესობაში ლექციები იკითხება მხოლოდ 11 კვირის განმავლობაში. მე-7-ე კვირა წარმოადგენს - შუალედურ შეფასებას, მე-13-ე კვირა - შემაჯამებელი, მე-14-ე კვირა პრეზენტაცია, 15,16,17 დასკვნითი. სტუდენტებთან და პერსონათან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შემაჯამებელი კვირა გულისხმობს კონსულტაციას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ხელშეკრულებით ვალდებულნი არიან ჩაატარონ კონსულტაცია არასალექციო დროს და კონსულტაციოების განრიგი სტუდენტებისთვის წინასწარ ცნობილია. ამიტომ გაუგებარია რას გულისხმობს მეცამეტე კვირის შემაჯამებელი, თუ ავღნიშნავთ იმასაც, რომ სილაბუსებში წარმოდგენილი მასალა საკმაოდ ბევრია და უმჯობესია დაეთმოს სასწავლო პროცესს.

ასევე სასურველია სასწავლო კურსის „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები“ წინ უსწრებდეს “დაპროგრამების საფუძვლების C++” სასწავლო კურსს, ან მიმდინარეობდეს პარალელურ რეჟიმში; ამავე დროს არსებულ ვარიანტში „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმების“ წინაპირობად “დაპროგრამების საფუძვლების C++”-ის განსაზღვრა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად;

სასურველია გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა სასწავლო კურსში - „წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია“;

სასურველია დაემატოს სასწავლო კურსი - „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები;
- სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

- ✓ პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტები განისაზღვროს საგნის სპეციფიკიდან და სირთულიდან გამომდინარე.
- ✓ გადაიხედოს სილაბუსები და ჩანაცვლდეს „შემაჯამებელი კვირა“ სალექციო კვირით;
- ✓ სასურველია სასწავლო კურსის „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები“ წინ უსწრებდეს “დაპროგრამების საფუძვლების C++” სასწავლო კურსს, ან მიმდინარეობდეს პარალელურ რეჟიმში; ამავე დროს არსებულ ვარიანტში „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმების“ წინაპირობად “დაპროგრამების საფუძვლების C++”-ის განსაზღვრა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა სასწავლო კურსში - „წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია“;

სასურველია დაემატოს სასწავლო კურსი - „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“;

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია როგორც ზოგადი საუნივერსიტეტო საგნები, ასევე დარგობრივი საგნები. სასწავლო კურსებები აგებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამედროვე სახელმძღვანელოებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ზოგადი ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის პროგრამაში გათვალისწინებულია აკადემიური წერა, ბიზნესია და ეკონომიკის საფუძვლები, ინგლისური ენა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს შეიძინოს და განივითაროს პრეზენტაციის უნარი, აზრის ნათლად და გამართულად, ქართულად და ინგლისურად, წერილობით და ზეპირად გადმოცემის უნარი, შეისწავლოს ბიზნესისა და ეკონომიკის ძირითადი პრინციპები.

პროფესიული უნარების, მათემატიკური აზროვნებისა და რეალური პროცესების მეცნიერული და ფუნდამენტური აღქმის უნარების განსავითარებლად პროგრამაში წარმოდგენილია უმაღლესი მათემატიკისა და ფიზიკის საფუძვლების კურსები.

დარგობრივი ცოდნისა და უნარების განვითარებისთვის პროგრამაში გათვალისწინებულია დაპროგრამების ენების, ალგორითმების, კომპიუტერის არქიტექტურისა და ოპერაციული სისტემის, web-ტექნოლოგიების საფუძვლების, კომპიუტერული ქსელების, მონაცემთა ბაზების, IT სერვისებისა და პროექტების მართვის, კიბერუსაფრთხოების კურსები. პროგრამაში მოცემული კურსები შინაარსისა და კრედიტების რაოდენობით უზრუნველყოფენ სტუდენტის ცოდნას თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით.

არჩევითი კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიღრმავოს ან გაიფართოვოს საკუთარი ცოდნა მისთვის სასურველი პროგრამირების, კომპიუტერული ქსელების, მონაცემთა ბაზების, IT პროექტების მართვის, კიბერუსაფრთხოების და სხვა მიმართულებით. საოფისე სისტემების, კომპიუტერული ქსელების, მონაცემთა ბაზების მიმართულებით გამოყნებულია Microsoft, Cisco, Oracle აკადემიების სასწავლო მასალები.

მაგრამ რამოდენიმე საგანში აუცილებელი ცვლილებების განხორციელება:

- სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილი მათემატიკური საგნებში: „კალკულუსი 1“ და „კალკულუსი 2“-ში შემავალი მასალა საკმაოდ ბევრია და მისი უკეთ ათვისებისათვის აუცილებელია საკონტაქტო საათების გაზრდა (ამჟამად

| |
|---|
| საკონტაქტო საათების რაოდენობაა 2სთ), თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ რეალურად საკონტაქტო საათების რაოდენობა უფრო მეტია.<br>• სასწავლო კურსის „კომპიუტერული ქსელები I“ მიზანში აღნიშნულია, რომ „...კურსი წარმოადგენს CCNA Routing and Switching-ის პირველ ნაწილს და მის წარმატებით გავლის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა შანსი მიიღოს CISCO-CCNA-ს საერთაშორისო სერტიფიკატი“. უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს კურსი თავისი შინაარსით არის CCNA Routing and Switching-ის პირველი Introduction to Networks და მეორე Routing and Switching Essentials მოდულების მასალა. აღნიშნულ საგანს კვირაში ეთმობა 3 საათი. პირველი ლექციის გარდა ყველა ლექციაზე ტარდება ქვიზი (20-30წთ გამოკითხვის თანახმად) და არის 11 სალექციო კვირა. თუ საგნის მიზანში დარჩება ჩანაწერი, რომ სტუდენტი შეძლებს სერტიფიკატის აღებას, მაშინ სავალდებულოა, რომ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა. (აქვე მინდა შევნიშნო, რომ 2014 წლის აკრედიტაციის დასკვნაში რეკომენდაცია გაიცა იგივე საგანზე, რომ დიდი მასალის გამო გაზრდილიყო საათების რაოდენობა ან გაყოფილიყო კურსი ორ ნაწილად);<br>• წარმოდგენილი ძირითადი თუ არჩევითი საგნების ლიტერატურა მეხუთე სემესტრიდან ძირითადად არის ინგლისურენოვანი. სტუდენტებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ სტუდენტებს თავიდან უჭირთ ტექნიკურ ინგლისურად მასალების შესწავლა. სასურველია ინგლისურის საგანში დაემატოს რამოდენიმე ლექცია ტექნიკური (დარგობრივი) ტერმონილოგიის შესწავლის საკითხებს.<br>• სასწავლო კურსები „შესავალი კომპიუტერული თამაშების პროგრამირებაში I“ და „კომპიუტერული გრაფიკული სისტემები“ არის პრაქტიკული ხასიათის და სასურველია ჩაემატოს თეორიული საკითხებიც. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საბაკალავრო პროგრამა;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;<br>○ სილაბუსები.<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br>▪ სასწავლო საგნებში: „კალკულუსი 1“ და „კალკულუსი 2“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა; აცდენაა რეალურად არსებულსა და დოკუმენტაციაში გამოგზავნილ სილაბუსებში მითითებულს შორის;<br>• სასწავლო კურსში „კომპიუტერული ქსელები I“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა ან ჩასწორდეს სასწავლო კურსის მიზანი;<br>• ინგლისურის სასწავლო კურსებში რამდენიმე ლექცია დაეთმოს ტექნიკური (დარგობრივი) ტერმინოლოგიის შესწავლის საკითხებს.<br>• სასწავლო კურსები „შესავალი კომპიუტერული თამაშების პროგრამირებაში I“ და „კომპიუტერული გრაფიკული სისტემები“ ჩაემატოს თეორიული საკითხები. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| |
|---|
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>პროგრამაში შემავალი რიგი საგნები მოიცავენ სხვადასხვა დონის პროექტის შესრულებას. ასევე პროგრამის არჩევით საგნებში შეთავაზებულია საბაკალავრო პროექტის ან ნაშრომის შესრულება, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო უნარების განვითარებას.<br>პროგრამის მიღმა სტუდენტებს შეეძლებათ ჩაერთონ სხვადასხვა კვლევებში, განახორციელონ საკუთარი ინოვაციური იდეები Startup-Factory-ში, მიიღონ მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში, კონკურსებში, ჰაკათონებში. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებსა და სემინარებში. უნივერსიტეტში რეგულარულად იმართება სხვადასხვა სახის სემინარები, კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები, საჯარო ლექციები, სადაც სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ დამატებითი ინფორმაცია დარგის უახლეს მიღწევებსა და აქტუალურ პრობლემებზე და სურვილისებრ ჩაერთონ სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებში. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- Startup-Factory
- კიბერუსაფრთხოების ყოველწლიური ფესტივალი
- გასაუბრების შედეგები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- საბაკალავრო პროგრამა;
- საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის

მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. მათ შორის:

- ლექცია-სემინარები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- სიახლეთა გარჩევა;
- პრაქტიკული მუშაობა;
- ლაბორატორიული მუშაობა;
- პრეზენტაციების წარდგენა;
- გუნდური მუშაობა;
- კრიტიკული ანალიზი;
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი ;
- შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში

სწავლება მიმდინარეობს მცირე ჯგუფებში (20-25 სტუდენტი), რაც უზრუნველყოფს მასალის უკეთ მიწოდებას და ინტერაქტიულ მუშაობას ლექციაზე. საგნებში, სადაც პრაქტიკული უნარები მნიშვნელოვანია და საჭიროა აპარატურასთან მუშაობა (მაგ. კომპიუტერული ქსელები) ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა შეზღუდულია 10-12 სტუდენტის ოდენობით.

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა
- სასწავლო კურსები
- სწავლის მეთოდების სახელმძღვანელო

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| |
|---|
| ○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
